ᲑᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1970 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 50-Ე ᲬᲚᲘᲡ ● № 81 (14685)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ 1970 �წᲚᲘᲡ 16 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

11 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲐᲛ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲠᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲧᲜᲗ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ?

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲒᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინეს თბილისის სართავ-სატრიუოტაჟო კომბინატის ახალგაზრდებმა. კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით გასულ კვირას მოეწყო ახალგაზრდობის მასობრივი შაბათობა, რომელმაც მომავალი საიუბილეო შაბათობისათვის მზადების ნიშნით ჩაიარა. ახალგაზრდებმა დასვენების დღეს ათობით მწვანე მცენარე დარგეს ლენინის რაიონის ახალ დასახლებაში თბილისის ზღვაზე.

11 აპრილი საიუბილეო შაბათობის დღეა. 1.000-მდე კაცი დასვენების დღეს თავის სამუშაო ადგილებზე გაატარებს და გამომუშავებულ თანხას ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘ. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქს შაბათობების მოწყობის კარგი ტრადიცია აქვს. ფეხბურთის შესანიშნავი სტადიონი, სანატორიუმი „ცხოვრება“, ნაქერალას კეთილმოწყობილი საავტომობილო შარაგზა, კინოთეატრი „შაორი“, და მრავალი სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობა ძირითადად ამ ღონისძიების მეორეხარ აშენდა.

ამ დღეებში ქალაქის საზოგადოებრიობა ენთუზიაზმით იმზადება აღნიშნოს მასობრივი ლენინური შაბათობის დღე — 11 აპრილი.

დიდი მზადება გაჩაღდა რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ და უძველეს სამთო საწარმოში — ლენინის სახელობის შახტში. ადმინისტრაციულ, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს შემუშავებული აქვთ ლენინური შაბათობის მოწყობის ღონისძიებები. უკვე შეიქმნა ოპერატიული შტაბი. საწარმოს კოლექტივის 3.000 წევრი გამოვა მასობრივ შაბათობაზე შახტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და გამწვანებისათვის. შვიდი საექსპლოატაციო უბანი იმუშავებს სათბობის მოპოვებაზე. ამ დღის გათვალისწინებულია 1.600 ტონა საკოქსე ქვანახშირის ამოღება, რომლის ღირებულება მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

ᲫᲣᲘᲑᲣᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲢᲠᲔᲡᲘᲡ სტალინის სახელობის შახტი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში. აქ მეშახტეთა გამოცდილი, მუყაითი კოლექტივი შრომობს. ვეტერანი მეშახტეების, სპეციალისტების გვერდით პროფესიებს წარმატებით ეუფლება ახალგაზრდობა; წარმოებაში შეუფერხებლად მუშაობენ სამთო მექანიზმები.

ლერი კორძაძე რამდენიმე წელია, რაც მაღაროში მოვიდა, მაგრამ მალე ჩადგა მოწინავე სპეციალისტთა რიგებში. ამჟამად იგი № 2 საექსპლოატაციო უბნის უფროსია. უბანმა შარშან თავი ისახელა. გეგმის გადამეტებით ამოიღო 5.698 ტონა ქვანახშირი, ხამშობლოს მისცა 34.160 მანეთი ეკონომია. ლერი კორძაძის უბანი წელსაც წარმატებით შრომობს. მარტო მარტში აქაურმა მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით 700 ტონა მადანი ამოიღეს, 2,5 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ᲮᲔᲠᲐᲗᲘ: № 2 საექსპლოატაციო უბნის უფროსი, ინჟინერი ლ. კორძაძე.

ფოტო ხ. ᲡᲝᲤᲠᲝᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲔᲑᲘ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანაში ემზადებიან საიუბილეო შაბათობისათვის. უკვე შეიქმნა შაბათობის მომწყობი კომისია, რომელმაც 11 აპრილისათვის საინტერესო ღონისძიებების პროექტი შეიმუშავა.

—ქარხნის ხუთივე საამქრო, ყველა უბანი (სულ 650 კაცი) ენთუზიაზმით ელის შაბათობის დღეს. 520 კაცი თავთანთ სამუშაო ადგილებზე დადგება, ხოლო დანარჩენი დასუფთავებს და წესრიგში მოიყვანს საწარმოს ტერიტორიას, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის პარტკომის მდივანმა რ. მეცხოვრიშვილმა. — იქმნება სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ამ დღეს უბნებზე სათავეში ჩაუდგებიან შრომითს ფერხულს. მაგალითად, ქარხნის კომკავშირული სეციალურმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 11 აპრილს მთლიანად დაამთავროს სპორტული მოედნის კეთილმოწყობა. გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა მუშებმა და ბრიგადებმა, რომლებიც პროდუქციის შექმნაზე იმუშავებენ.

მანქანათმშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ კომუნისტური შაბათობის დღეს ჯამმუშავებული თანხა 14.300 მანეთი გადარიცხონ ხუთწლედის ვადამდე დამთავრების ფონდში.

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲘᲬᲐᲡ, ᲒᲐᲕᲐᲓᲘᲓᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ Ვ. Პ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას.

ამას მოწმობენ სკკპ XXIII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის, 1966 წლის მაისის, 1968 წლის ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანებს პარტია წყვეტდა კომპლექსურად, ამ პრობლემას უდგებოდა ყოველმხრივ და წინა პლანზე აყენებდა სხვადასხვა ასპექტს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციას, მიწების მელიორაციას, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას.

პარტია მუდამ ითვალისწინებს, რომ სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ვრცელი, საარსებო მნიშვნელობის დარგია, რომ თუ მყარი სასოფლო-სამეურნეო ბაზა არ გვექნება, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „შეუძლებელია რაიმე სამეურნეო მშენებლობა...“

დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შემოგვაქვს საკითხი „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში“. ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხია, რადგან სწორი მიწათსარგებლობა, მიწისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, მისი ნაყოფიერების გადიდება განაპირობებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანების გადაწყვეტას.

ყოველთვის, ყოველ დროს ადამიანები განსაკუთრებული სიყვარულით, მზრუნველობით ეკიდებოდნენ მიწას, რადგან იგი მიაჩნდათ ძალისა და ნაყოფიერების, თვით სიცოცხლის წყაროდ. ხალხს მიწის შესახებ მრავალი ლეგენდა და თქმულება შეუთხზავს და ყოველთვის სიყვარულით უწოდებს მას „დედამიწას“. „დედამიწა“,— ამბობენ საქართველოში, და ამ სიტყვაში ღრმა აზრია ჩაქსოვილი. ქართველი გლეხი, ისევე როგორც მთელი ჩვენი გლეხობა, შუდამ სათუთად ზრუნავდა მიწაზე — იგი ხომ მისი ერთადერთი მარჩენალი იყო.

დღეს გვახსენდება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო“, იგი გვაზოვებს ჩვენ ძუძუს, იმას დავხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“.

ლხინია იმიტომ, რომ მიწა მოსავალს გვაძლევს და, მაშასადამე ასაზრდოებს ყოველ არსს. ჭირია იმიტომ, რომ გლეხკაცი სისხლითა და ოფლით მოიწკის ამ მიწის ნაყოფს.

რევოლუციამდელ საქართველოში გლეხებს ეკავათ მთელი გამოყენებული მიწების მხოლოდ 6,3 პროცენტი,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში მიეძღვნა ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, რომელიც ამას წინათ გაიმართა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Ვ. Პ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ.

ხოლო ძირითადი ნაწილი ეკუთვნოდათ სახელმწიფო ხაზინას, მემამულეებსა და ეკლესიას. ტყუილად ხომ არ ამბობდნენ ძველად, ქართველი გლეხკაცის ნაკვეთი სულ ერთი ნაბდით გადაიხურებაო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაიჭრა გლეხთა საკითხი. საგულისხმოა, რომ დიდი თქტომბრის გამარჯვების მეორე დღესვე, სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე მიიღეს დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი სიტყვა თქვა ზავსა და მიწაზე. ახდა მიწათმოქმედის საუკუხოვანი ოცნება. მიწის კერძო საკუთრება სამუდამოდ გაუქმდა, მთელი მიწა საყოველთაო-სახალხო საკუთრება გახდა და უსასყიდლოდ გადაეცათ მშრომელებს სარგებლობისათვის. და დღესაც სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ მიწა არის სახელმწიფო საკუთრება, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილება.

მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, გადაცემული აქვთ მათ უსასყიდლო და უვადო სარგებლობისათვის, ესე იგი სამუდამოდ, და კოლმეურნეობა, კოლმეურნეთა საერთო კრება ამ მიწების სრული ბატონ-პატრონი და განმკარგულებელია.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დაწესებამ უდიდესი, გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ სსრ კავშირში აშენდა სოციალიზმი. ამ უდიდესმა აქტმა ხელი შეუწყო ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, უზრუნველყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება.

1968 წლის დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, როგორც ცნობილია, მიიღო „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“. ეს გახდა მიწების სწორი და რაციონალური გამოყენებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინება.

ჩვენს ქვეყანას აქვს მსოფლიოში ყველაზე ვრცელი სავარგულები. თვალუწვდენია ჩვენი სამშობლოს სივრცეები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მიწის რესურსები ჩვენში უსაზღვროა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მიწას, როგორც წარმოების საშუალებას, ვერაფერი ვერ შეცვლის. აი რატომ უნდა გავუფრთხილდეთ, მუდამ უნდა ვიზრუნოთ მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესის აუცდელელი პირობაა, რომ ნიადაგის დაცვა მთელი ჩვენი საზოგადოების საქმეა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მიწის ყოველგვარი გაფუჭება უნდა მივიჩნიოთ ანტისაზოგადოებრივ საქციელად, რადგან ის, ვინც მიწას ხელყოფს, დაუდევრად ეკიდება მას, არ ზრდის მის ნაყოფიერებას, იგი ძირს უთხრის ხალხის კეთილდღეობის მთავარ მატერიალურ საფუძველს.

აი რატომ არის, რომ მთელი მიწების რაციონალური გამოყენება, მათი დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდება უნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანაა.

ყველა ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პირობებში, რადგან ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე მცირემიწიანია. თუ ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მოდის 0,94 ჰექტარი სახნავი, ჩვენში მოდის მხოლოდ 0,18 ჰექტარი, ესე იგი ხუთჯერ ნაკლები, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ეს გვავალებს უფრო მეტი მზრუნველობით მოვეკიდოთ მიწას, სისტემატურად ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, მუდამ ვიზრუნოთ არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწათმოქმედების ინტენსივობა. გაფართოვდა მრავალწლიანი ნარგავებისა და ძვირფასი ტექნიკური კულტურების ფართობები, გადიდდა მათი მოსავლიანობა. ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, უფრო ეფექტიანად ვიყენებთ მინერალურ სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, უფრო ფართოდ ინერგება წარმოებაში მეცნიერების უახლესი მიღწევები, შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები.

ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, მათი მიყიდვა სახელმწიფოსათვის.

ამასთანავე მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცუდად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სათანადოდ არ ზრუნავენ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისათვის, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომ მიწები დაიცვან განიავებისა და დატაცებისაგან. ყოველივე ეს პროდუქტიული სავარგულების ფართობის შემცირებას იწვევს.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამით.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 6 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ბუდაპეშტიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** მეთაურობს. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მოწვევით დელეგაცია მონაწილეობდა უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულში.

ბუდაპეშტის დასავლეთის ვოგზალში საბჭოთა დელეგაციის გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. დელეგაცია გაიცილეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **იანოშ კადარმა**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ **ანტალ აპრომ**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ **ლაიოშ ფეხერმა**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზოლტან კომორნინმა**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა **ლაიოშ ცინეგემ**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იანოშ პეტერმა** და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებმა.

6 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ბუდაპეშტიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. **ბრეჟნევი.**

დელეგაციაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. შჩერბიცკი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი **მ. ვ. ზახაროვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში **ფ. ე. ტერეზოვი.**

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ კიევის ვოგზალში, დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი**, **ა. პ. კირილენკო**, **კ. ტ. მაზუროვი**, **ი. ვ. ანდროპოვი**, **ვ. ვ. გრიშინი**, **დ. თ. უსტინოვი**, **ი. ვ. კაპიტონოვი**, **კ. ო. კატუშევი**, **თ. დ. კულაკოვი**, **მ. ხ. სოლომენცევი** და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ქალაქებსა და სოფლებში ჯერ-ჯერობით დასრულებულია კანდიდატთა დასახელება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ბრრჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის“ მოწინავე ხარატი **ლ. ჰ. გალუსტიანი** თავისი საწარმოს კოლექტივმა დასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 676 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კოლმეურნეთა კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 682 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ სახელონ მოწინავე მექანიზატორი **დ. ფ. ძუკაევი.**

თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებამ დაადგინა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ საწარმოს მწნეხავი **დ. ი. გაგნიძე.**

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 178 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავიანთ კანდიდატად დასახელეს ცნობილი რაციონალიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი **ი. გ. ხაზარაძე.**

(საკდესი).

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲒᲔᲜ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲔᲒᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 4 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიმართა გეოლოგის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა **ბ. ი. ᲒᲣᲨᲘᲨᲘᲕᲘᲡᲐᲜᲛ.**

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ს. ᲫᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **რ. ი. ᲩᲮᲘᲠᲕᲐᲫᲔ**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ᲗᲔ. ᲒᲐ. ᲚᲣᲓᲣᲨᲐᲕᲠᲘ.**

(საკდესი).

ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თბილისში მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების ექვსდღიანმა სემინარმა. სემინარზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ მოაწყო, დიდი ყურადღება დაეთმო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 25 წლისთავისათვის მზადებას.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის კარდინალურ პრობლემებსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **Შ. Ა. ᲠᲝᲚᲝᲜᲘᲜᲒᲘᲫᲔ** წაიკითხა ლექცია თემაზე: „პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები“. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **რ. ი. ᲩᲮᲘᲠᲕᲐᲫᲔ** ილაპარაკა რესპუბლიკის მრეწველობის სამმართველოებზე ზოგიერთ პერსპექტივებზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შ. ი. ᲒᲐᲜᲣᲪᲐᲫᲔ** თავის გამოსვლაში შეეხო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. ვ. ᲒᲐᲮᲠᲐᲛᲔᲔᲕᲐ** ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

სემინარზე წაიკითხეს მთელი რიგი თეორიული ხასიათის ლექციები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **Შ. Ლ. ᲢᲘᲢᲐᲠᲔᲜᲙᲝ** წაიკითხა ლექცია — „ლენინიზმის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის კრიტიკა“. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე ილაპარაკა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა **ი. ი. ᲚᲣᲜᲔᲕᲐ** (მოსკოვი). „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთი პრობლემა“ — ასე ეწოდებოდა ლექციას, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ც

ამხანაგ ვ. პ. მჭავანაძის მოხსენების დასასრული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ამ ბოლო 10 წლის მანძილზე კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში სახნავი ფართობები შემცირდა 38 ათასი ჰექტარით, რომელთა დამუშავება მიატოვეს. მნიშვნელოვნად შემცირდა სახნავი ფართობები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, აზმეტის, საჩხერის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას, აბაშის, დმანისის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებში, და ამას, რასაკვირველია, მოჰყვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემცირება.

ამასთანავე იქ, სადაც სახნავი გაფართოვეს, მაგალითად, ისეთ მაღალმთიან რაიონშიც კი, როგორიც არის მძიმე ბუნებრივი კლიმატური პირობების მქონე ბოგდანოვკის რაიონი, მნიშვნელოვნად გაადიდეს კარტოფილის, ხორცის, რძისა და მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები გულმოდგინედ უნდა გაერკვნენ, თუ როგორ იყენებენ მიწას თვითეულ მეურნეობაში, მთელი ძალები დარაზმონ, ათმაქმედონ მთელი არსებული ტექნიკა, და თუ საჭირო გახდა, გამწევი პირუტყვიც გამოიყენონ, ოღონდ დაუმუშავებელი არ დარჩეს არც ერთი ჰექტარი სახნავი.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის წარმატებანი უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მზრუნველობით ეკიდებიან ადგილებზე მიწას, დამოკიდებულია მეურნეობის უნარიან გაძღოლაზე, რომლის აზრი ის არის, რომ მიგიღოთ მეტი პროდუქცია ფართობის ერთეულიდან და ამასთან დაგხარჯოთ რაც შეიძლება ნაკლები შრომა და სახსრები.

მიწების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა ნიადაგების დაცვა ეროზიული მოვლენებისაგან. ამ მიზნებისათვის გამოიყოფა ბევრი ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები.

ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები ეროზიული პროცესების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილებისათვის. დიდ ფართობებზე შეიქმნა მინდორსაცავი ტყის ზოლები, ტყეები გაშენდა მთის ფერდობებზე; მოწყობილია ტერასები, 400 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემოღებულია თესლბრუნვა, მნიშვნელოვან ტერიტორიაზე დამთავრდა ნიადაგების დიდმასშტაბიანი გამოკვლევა.

ამასთანავე ცალკეული მეურნეობები და მთელი რაიონებიც კი მთლიანად არ იყენებენ იმ დიდ დახმარებას, რომელსაც სახელმწიფო უწევს, და არსებითად ფუშავენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების დავალებებს. მაგალითად, წალკის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1969 წელს უნდა გაეშენებინათ 124 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები, ფაქტიურად კი კოლმეურნეობებში გაშენდა 48 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებს სრულიად არ მოუციდიათ ხელი ამ სამუშაოებისათვის. ახალქალაქის რაიონში მინდორსაცავი ტყის ზოლები გააშენეს არა 50 ჰექტარზე, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ 27 ჰექტარზე. 1969 წელს აქ ვერ აითვისეს დიდი თანხა, რომელიც გამოყოფილი იყო ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ოჩამჩირის, ზუგდიდის, საჩხერის, ცხაკაიასა და სხვა რაიონებში.

ცნობილია, რომ უმნიშვნელოვანესი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებაა მთის ფერდობებზე მრავალწლიანი ბალახების თესვა. მრავალწლიანი ბალახები აუცილებელია სწორი თესლბრუნვისათვის, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ბალახის თესვა მეცხოველეობის საკვებ ბაზის განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მაგრამ ბალახის თესვის გაფართოებას ხელს უშლის მრავალწლიანი ბალახის თესლის ნაკლებობა, ხოლო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამმართველოებს რაიონებში დღემდე ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოუგვარებიათ ეს საქმე.

ჩვენმა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მყარი ბაზა უნდა შეუქმნას თესლის წარმოებას, მოაწყოს მეთესლეობის მეურნეობანი და მატერიალური და სხვა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მათ, შეიმუშაოს და დანერგოს თესლის წარმოების მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი. ამ საქმეს განზე არ უნდა გაუდგნენ პარტიის რაკომები და რაიაღმასკომები. მათ უნდა წარმართონ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა მრავალწლიანი ბალახის თესლის წარმოებისა და დამზადებისათვის.

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ცუდად უზრუნველყოფენ მეთესლეობის მეურნეობებს საჭირო ელიტური მასალით.

მთელ რიგ მეურნეობებში არ ხორციელდება უმარტივესი აგროტექნიკური ღონისძიებები ეროზიისაგან ნიადაგების დასაცავად. ხომ ცნობილია, რომ ფერდობები მხოლოდ გარდიგარდმო უნდა მოიხნას. ამ წესს კი ხშირად არღვევენ. ისიც ხდება ხოლმე, რომ არასწორი რწყვა იწვევს ნაკვეთების დაჭაობებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გადარეცხვას და სხვ.

მაგალითად, 1968-1969 წლებში ნიადაგების გაკირიანების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი ვერ შეასრულეს გალის, წულუკიძის, ბათუმის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

რუსთავოლის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში ბიცობიანი ნიადაგების გათაბაშირიანება განხორციელდა აგროტექნიკური კომპლექსის დარღვევით, ამის შედეგად ნიადაგი არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ, პირიქით, გაუარესდა, და ამით სოფლის მეურნეობას დიდი მატერიალური ზარალი მოუვიდა.

მთელი პასუხისმგებლობა მიწის დაცვისათვის, ნიადაგის მოვლასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების დროული და ხარისხოვანი განხორციელებისათვის უნდა ეკისრებოდეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", მათს ადგილობრივ ორგანოებს.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწების დაცვას მთის ბობოქარი მდინარეების ადიდებისაგან, რომლებიც ყოველწლიურად ასობით ჰექტარ ნაყოფიერ მიწას რეცხავენ, და ამით დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას.

ამიტომ საჭიროა დავაჩქაროთ და გავაუმჯობესოთ ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები. სტრქის დამანგრეველ ძალას უნდა დავუპირისპიროთ კარგად ორგანიზებული, კაპიტალური ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები, რათა წყალდიდობის დამანგრეველი ზეგავლენა ხანგრძლივად ავაშოროთ მიწის დიდ მასივებს. ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობას ამ მიმართულებით.

დიდი სამუშაოებია წარმოებული ჩვენში კოლხეთის დაბლობის დასაშრობად, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, არ იძლევა სათანადო ეფექტს. სამწუხაროდ, ის მიწები, რომლებიც ათვისებულად ითვლება, სავსებით როდი აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, ხობის, ზუგდიდის, ცხაკაიას, აბაშის რაიკომებმა უახლოეს დროში უნდა უზრუნველყონ აქ სამელიორაციო სამუშაოთა მთელი კომპლექსის განხორციელება.

კოლხეთის დაშრობა საყოველთაო-სახალხო, საერთო-სახელმწიფო საქმეა, და ჩვენ გადამწყვეტ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ ამ საქმეში.

სამელიორაციო სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს მაღალხარისხოვნად, საქმის ცოდნით, საჭიროა დაშრობილი მიწები ავითვისოთ დროულად და მთლიანად, ისე რომ მელიორატორები აღარ უბრუნდებოდნენ თავიანთი ტექნიკით უკვე დაშრობილ ფართობებს.

სწორად ვიყენებდეთ სარწყავ სისტემებს, ვიცავდეთ რწყვის წესებს — ეს ნიშნავს მივიღოთ სოფლის მეურნეობის დიდძალი დამატებითი პროდუქცია. ამავე დროს სარწყავ მიწებზე ჩვენში მარცვლეულის შეუფუნარებლად მცირე მოსავალი მოჰყავთ, სარწყავი მიწების უნარიანად გამოყენება, სხვა ფაქტორებთან ერთად ხომ ერთ-ერთი ძირითადი პირობაა იმისა, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში მიკაღწიოთ მარცვლეულის საშუალო მოსავალიანობას 20 ცენტნერის ოდენობით ჰექტარზე, მისი საერთო წარმოება კი გავადიდოთ 1 მილიონ ტონამდე.

სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობის ყველა მუშაკის, ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანა ის არის, რომ მიაღწიონ სარწყავი მიწების რაციონალურად გამოყენებას, სარწყავი წყლის ყაირათიანად ხარჯვას, რწყვის მოწინავე მეთოდების დანერგვას.

ისეთ ღონისძიებებთან ერთად, როგორიც არის ნიადაგის დაცვა, წყლის რეჟიმის რეგულირება, ჰავის გაჯანსაღება, მიწის დაცვასა და მისი სიმდიდრის გადიდებაში დიდ როლს ასრულებს ტყე.

ჩვენს რესპუბლიკაში ტყეების ძირითადი მასივები მთის ფერდობებზეა შეფენილი, და ამიტომ ტყეს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტყე იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, მეწყერებისაგან, აწესრიგებს წყლის რეჟიმს, ირბილებს ჰავას, იცავს ნათესებსა და ნარგავებს გრიგალისა და ხორშაკისაგან.

საქართველოში მრავალი კურორტი, ჯანმრთელობის ქერაა და ტყეებს ჩვენში სამკურნალო მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ ყოველნაირად უნდა დავიცვათ ჩვენი სატყეო მეურნეობა, სანიმუშოდ მოვუაროთ ტყეებს. ტყე, ისევე როგორც მიწა, დიდ ყურადღებას მოითხოვს, მას მზრუნველობით უნდა ვეკიდებოდეთ და ყოველდღიურად ვუვლიდეთ.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით — გაშენდა ახალი ტყეები, მოტყეევდა ფერდობები, შეიქმნა მინდორსაცავი ტყის ზოლები, შეიზღუდა ტყეების სამრეწველო გაჩეხვა. ტყეების შენარჩუნებასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს ტყის ნაკრძალების შექმნა დიდ მასივებზე. ვფიქრობთ, რომ სწორად მოვიქეცით, როცა ავკრძალეთ ახალგაზრდა წიწვოვანი ნარგავების მოჭრა საახალწლო ნაძვისხისათვის. ტყის რესურსების დაზოგვაში გვეხმარება ფართო გაზიფიკაცია, ზვრებში რკინაბეტონის ბოძების გამოყენება ხის ბოძების ნაცვლად.

მიუხედავად ამისა, ტყეების ექსპლოატაციის დროს რესპუბლიკაში დაშვებული იყო სერიოზული დარღვევები, იყო თვითნებურად გაჩეხვის ფაქტები. ამის შედეგად ბევრ რაიონში ტყეები გამეჩხერდა და, ბუნებრივია, დაკარგა თავისი სასარგებლო თვისებანი, ამას კი თავის მხრივ მოჰყვა ის, რომ ძლიერმა კოკისპირულმა წვიმებმა ამას წინათ დიდი ზარალი მიაყენეს ბორჯომის, ხაშურის, ორჯონიკიძისა და ზოგიერთ სხვა რაიონს.

საჭიროა, რომ ჩვენი ტყის მასივების მდგომარეობა მუდამ კარგი იყოს და ისინი ასრულებდნენ თავიანთ დამცველ როლს, ნგრევისაგან იცავდნენ სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს. ამიტომ ტყეები უნდა გავაშენოთ მთელ ცარიელ მიწებზე, რომლებიც არ გამოდგება სოფლის მეურნეობისათვის. ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტონ არა მარტო სატყეო მეურნეობის მუშაკებმა, არამედ პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა. ამისათვის ყველა შესაძლებლობა და ყველა პირობა გვაქვს.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, ტყის ინსტიტუტმა, გადაჭრით უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, სერიოზულად და უფრო ღრმად იმუშაონ ტყის გაშენებისა და ტყის სწორად გამოყენების საკითხებზე.

სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ ჩვენი მიწის სიმდიდრენი უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ, კერძოდ უფრო სწორად გადავჭრათ არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხები, დავაწესოთ მკაცრი პასუხისმგებლობა მიწით სარგებლობის პირობებისა და წესების დარღვევისათვის.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მარტო ეროზიისა და სხვა არახელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორებისაგან დაცვას როდი საჭიროებენ, ისინი უნდა დავიცვათ აგრეთვე დაუდევარი მეურნეებისაგან, რომლებიც ჯეროვნად არ ზრუნავენ მიწისათვის.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ 1953-1969 წლებში არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი იყო 107 ათასამდე ჰექტარი მიწა, აქედან 26 ათას ჰექტარზე მეტი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ცდილობს მიიღოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სამრეწველო საწარმოების აგებისათვის, სხვადასხვაგვარი განაშენიანებისათვის, მაშინ როცა ამ მიზნით შეიძლებოდა უფრო შესაფერისი ნაკვეთების შერჩევა ნაყოფიერი მიწების შეუმცირებლად.

მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენისა და მისი საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების დაგეგმვის პროექტების განსახორციელებლად დაგვჭირდება ბევრი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის სახნავ-სათესი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები. ამასთანავე ამ პროექტებს არ უთანხმებენ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებსა და მიწით მოსარგებლეებს.

ცხადია, ჩვენ კვლავაც ავაშენებთ ახალ სამრეწველო საწარმოებს, გავაფართოებთ ქალაქებსა და კურორტებს და ამ მიზნით გამოვყოფთ მიწის ნაკვეთებს. მაგრამ ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ გონივრულად, ყაირათიანად, ისე, რომ კი არ შევამციროთ, არამედ გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ხომ გასაგებია, რომ საწარმოების, კურორტებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის უნდა გამოვყოთ მიწები, რომლებიც არ გამოდგება ან ნაკლებად გამოდგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ამავე დროს ჩვენი სამინისტროები, უწყებები, ისევე როგორც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, ყოველთვის ჯეროვანი ზრუნვითა და პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან მიწების დაცვას.

ხშირია შემთხვევები, როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსადეგ ბევრ მიწის ნაკვეთს საკარიერო მეურნეობათა მოწყობისათვის გამოჰყოფენ. კარიერები გვჭირდება, მაგრამ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც ამ მიზნით ეძლევათ მიწები, უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი და დამუშავების დამთავრების შემდეგ მოაწესრიგონ ეს მიწები და დაუბრუნონ მიწით მოსარგებლეებს ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოსადეგი იყოს სასოფლო-სამეურნეო დამუშავებისათვის.

მაგალითად, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე კარიერების დასამუშავებლად გამოყოფილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 4 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, აქედან 1.000 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესსა და მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს. კარიერებისათვის გამოყოფილი ფართობის 70 პროცენტზე მეტი დამუშავებულია და ეს მიწები უკვე უგარგისია შემდგომი დამუშავებისათვის. მაგრამ დღემდე მოასწორეს და მიწით მოსარგებლეებს დაუბრუნეს მხოლოდ 100 ჰექტარი, ესე იგი დამუშავებული ფართობის მხოლოდ სამი პროცენტი.

მიწისადმი ესოდენ უყაირათო დამოკიდებულების გამო უნდა ვუსაყვედუროთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს „ინკომშენის" ტრესტს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტსა და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მიწა საერთო-სახალხო კუთვნილებაა და რომ არავის არა აქვს უფლება ვიწროუწყებრივი პოზიციებიდან მიუდგეს მას.

ეტყობა, სახალხო კონტროლის კომიტეტმა უნდა შეისწავლოს ეს საკითხი და წარუდგინოს მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმისათვის, რომ განახორციელოს ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გადამწყვეტი ღონისძიებანი.

მიწების განაკვეთებას იწვევს აგრეთვე საკოლმეურნეო წესდებითა და მთავრობის გადაწყვეტილებებით დადგენილი საკარმიდამო მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევა. ხშირია შემთხვევები, როცა გვერდს უვლიან არსებულ კანონმდებლობას და საკოლმეურნეო მიწებს ცალკეულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებსაც კი აძლევენ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ქალაქებსა და დაბებში დადგენილია მიწის ფარული ყიდვა-გაყიდვის, საზოგადოებრივი მიწების უკანონოდ მითვისების ფაქტები, არის თვითნებურად დასახლების შემთხვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მიწათსარგებლობის წესების დარღვევის იმ ფაქტების საკითხი, რომლებიც გამოვლენილა მცხეთის, თეთრი წყაროს, დუშეთის, გარდაბნის რაიონებში. მაგალითად, პირებმა, რომლებიც გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათ შორის იმათ, ვისაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საბჭოთა მეურნეობასთან, მიითვისეს 20 ჰექტარზე მეტი სარწყავი სახნავ-სათესი მიწა.

ასეთი ფაქტებია ზუგდიდის, ლაგოდეხის, ცხინვალის, წალკის რაიონებში. მიწით სარგებლობის წესების დიდი დარღვევებია გამოვლინებული აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

არღვევენ რა მიწის კანონმდებლობას, ცალკეულმა პირებმა, შეიძინეს სახლები და შესაბამისი მიწის ნაკვეთები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სინამდვილეში კი ცხოვრობენ და მუშაობენ მის ფარგლებს გარეთ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ ბევრჯერ მიიღეს კარგი დადგენილებანი მიწის კანონმდებლობის ასეთ დარღვევათა წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩა, ხოლო ასეთი დარღვევები უწინდებურად გრძელდება.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საოლქო აღმასკომი, პარტიის მცხეთის, გარდაბნის, ზორის, ბახარაძის, თეთრი წყაროსა და სხვა რაიკომები და რაიაღმასკომები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები არ ირენენ ჯეროვან პრინციპულობას მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში, ურიგდებიან მიწით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევებს. [illegible] ამ დარღვევათა ნინააღმდეგ.

ხშირად უკანონო და არაუფლებამოსილი გადაწყვეტილებანი სხვადასხვა ორგანიზაციისა და პირებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ გამოაქვთ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები კი არ აუქმებენ ამ უკანონო გადაწყვეტილებებს, ხოლო მიწით სარგებლობის წესები ზუსტად ხომ უნინარეს ყოვლისა სწორედ სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა უნდა დაიცვან.

მეტი ინიციატივა და სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა, სოფლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მიწის კანონისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვისათვის ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ჩვენმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სწორედ ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში ბრძოლას მიწების განიავების წინააღმდეგ. კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ მიწათსარგებლობაში ჩადენილი ბოროტმოქმედების არც ერთი შემთხვევა, არც ერთი ფაქტი.

მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვის საკითხებს სისტემატურად უნდა განიხილავდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, ეს საკითხები უნდა გახდეს განხილვის საგანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და რაიონული საბჭოების სესიებზე, რადგან მიწის დაცვა, მისთვის თვალყურის დევნება თვითეული საბჭოთა ადამიანის, ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

ჩვენს სოციალისტურ წყობილებას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ არა მარტო დაიცვას მიწა, არამედ გაამრავლოს კიდეც მისი სიმდიდრე ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

ბუნების სიყვარული, მიწის სიყვარული, სახალხო დოვლათის დაცვისა და გამრავლებისადმი მისწრაფება უნდა ჩავუნერგოთ ყველას ბავშვობიდანვე, სკოლის მერხიდან.

ამისათვის საჭიროა შევიმუშაოთ მკაფიო და მწყობრი სისტემა, ახალგაზრდობას, ყველა საბჭოთა ადამიანს ჩავუნერგოთ მშობლიური მიწის სიმდიდრეებისადმი სიყვარული, მზრუნველი დამოკიდებულება.

სიტყვები „ბუნება" და „მიწა" ისევე ამაყად უნდა ჟღერდეს, როგორც სიტყვა „ადამიანი", რადგან ადამიანი ძლიერია განუყრელი კავშირით მიწასთან, და მიწა აძლევს ადამიანს ყველაფერს, რაც კი საჭიროა სიცოცხლისათვის.

საჭიროა, რომ ჩვენი გაზეთები და ჟურნალები, რადიო და ტელევიზია, მეტ ყურადღებას უთმობდნენ მიწის, ბუნების სიყვარულს, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი სათუთი, მზრუნველი დამოკიდებულების დანერგვის საკითხებს.

ისინი კი, ვინც არღვევს მიწის კანონმდებლობას, უნდა მივცეთ პასუხისგებაში, და ეს უკვე ჩვენი სასამართლოების, პროკურატურის საქმეა, რომლებიც აგრეთვე უნდა იდგნენ მიწის, მისი სიმდიდრეების სადარაჯოზე.

გადაწყვეტილებაში, რომელსაც მიიღებს ჩვენი პლენუმი, უნდა განისაზღვროს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების, ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის კონკრეტული ამოცანები მიწის კანონისა და მიწითსარგებლობის წესების განუხრელად შეასრულებისათვის, მთელი მიწის სავარგულების რაც შეიძლება სრულად და ეფექტიანად გამოყენებისათვის ბრძოლაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, ყველა ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო ორგანომ, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაამყარონ სათანადო წესრიგი მიწით სარგებლობაში, ეფექტიანად გამოიყენონ მთელი მიწის რესურსები, აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა და ამ საფუძველზე ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ კიდევ უფრო განავითაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, შეასრულოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების სოციალისტური ვალდებულებანი, მთლიანად გამოიყენოს ამ მიზნით მთელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, ტექნიკა, სასუქები, მელიორაცია, მოწინავე აგროტექნიკა.

მოხსენების დასასრულს ამხ. ვ. პ. მჭავანაძემ თქვა, რომ დიდი ოქტომბრის გამარჯვებიდან ორი კვირის შემდეგ ვ. ი. ლენინი, მიმართავდა რა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, წერდა:

„თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს საკუთრებით თქვენი, **საერთო-სახალხო** კუთვნილება იქნება".

მას შემდეგ 50 წელზე მეტმა განვლო, მაგრამ დღესაც მოწოდებად გაისმის ლენინის სიტყვები.

უფრთხილდებოდნენ მიწას, განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ სწორად იყენებდნენ მას, იცავდნენ გაფუჭებისა და განაკვეთებისაგან, იბრძოდნენ მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის — ეს ყველა საბჭოთა ადამიანის — კომუნისტებისა და უპარტიოების, ჩვენი კომკავშირელების, პიონერებისა და მოსწავლეების ღირსების საქმეა.

გუფრთხილდებოდეთ მიწას, მოგვყავდეს პურის უხვი მოსავალი, ვზრდიდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას — ამისათვის მოგვიწოდებს დღეს პარტია!

ამ ამოცანის შესრულება ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა.

მიწა ხალხის ძალისა და სიმდიდრის წყაროა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პლენუმზე გამოსულთა სიტყვებს წითელ ზოლად გასდევდა ერთი აზრი — პარტიული ორგანიზაციები, სოფლის მშრომელები მზად არიან რაც შეიძლება მოკლე ვადაში აღმოფხვრან მიწის დაცვისა და მიწით სარგებლობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, თვითეული ჰექტარი გახადონ ნაყოფიერი, მიიღწიონ უკეთეს მაჩვენებლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

ზრუნვა მიწისათვის, მისი სწორად გამოყენება, თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ფ. თხელაძეშვილმა**, აუტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსადეგი 0,2 ჰექტარი მიწა. ეს ციფრი ნაკლებია, ვიდრე საქართველოს საშუალო მაჩვენებელიც კი, რომელიც ყველაზე მიწამცირეა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. ამიტომაც ჩვენში ესოდენ დიდი მზრუნველობით ეკიდებიან მიწას, მიწის ნაკვეთს ირთმეევენ ჭაობებს. ტყეებსა და მთებს, თითქმის მთლიანად არის ათვისებული მიწები, რომლებიც შეიძენება გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ არის რეზერვები მიწის ფონდის გადიდებისათვის.

ამხ. თხელაძეშვილმა მოიყვანა მაგალითები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკიდან, რომლებიც ჯიგარის ამოძირკვისა და მთის ნაკვეთების დაშენების **გზით** აფართოებენ ტაკეცილის გასწვრივ, აგრეთვე კოლმეურნეობების ეროზირებული ნაკვეთების მოტყეევება. ეროზიის წინააღმდეგ ერთ-ერთი ეფექტიანი ღონისძიებაა დატერასება. იგი წარმოებს აჭარის შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. ქეციის რაიონში ტერასებზე ამენენენ ჩაის, დაფუნის, შეახეევისა და ხულოს რაიონებში — ხეხილს.

აჭარაში ვითარდება მრეწველობა, შენდება ახალი ობიექტები, გაჰყავთ გზები, ელექტროგადაცემათა ხაზები. ამ მიზნებისათვის უკანასკნელ წლებში გამოყოფილი იყო 190 ჰექტარი, ეს საკმაოდ საგრძნობია მიწამცირე მეურნეობებისათვის. ამას უნდა დამატოს აგრეთვე ინტენსიური საკურორტო მშენებლობა, რომელიც ჩვეულებრივ წარმოებს სანაპიროს გასწვრივ, ისეთ მიწებზე, რომლებზეც ხშირად ძვირფასი მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურებია გაშენებული. ასეთი მდგომარეობა არ ეჭვებოდა, პროექტების შედგენის დროს სავგულდაგულოდ რომ სწავლობდნენ ნაკვეთებს და ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას. მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა ჩაის ბუჩქებისა და ციტრუსების ამოძირკვა. სამშენებლო მოედნები უნდა ეწყობოდეს უგარგის მიწებზე, რომლებიც არც ისე ცოტა გვაქვს.

პლენუმზე, თქვა შემდეგ ამხ. თხელაძეშვილმა, მწვავედ და პრინციპულად დასვა მიწის მიტაცების, არადანიშნულებისამებრ მისი გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. აჭარის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები იბრძვიან მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დარღვევის, საკარმიდამო ნაკვეთებით მაქინაციების წინააღმდეგ, მკაცრად სჯიან დამნაშავეებსა და მათს მფარველებს. პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, გავაზარდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების საერთო წარმოება.

მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების კანონმდებლობა, ამბობს ამხ. თხელაძეშვილი, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვის საკითხებს ხშირად განიხ

მიწა ხალხის ქალისა და სიმდიდრის წყარო

(დასასრული)

კომისიები მეურნეობათა ხელმძღვანელების თავმჯდომარეობით, რომლებშიც შედიან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ კომისიების ამოცანაა თვალყური ადევნონ თავიანთ მეურნეობებში მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების შესრულებას.

ვფიქრობ, თქვა ამხ. ბზიშვილმა, რომ მიწით სარგებლობის საკითხების გადაწყვეტა თვით კოლმეურნეთა საქმე უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მეურნეობებს კონტროლს არ უნდა უწევდნენ ზემდგომი ორგანოები, მაგრამ როცა საქმე ეხება საკოლმეურნეო მიწას, ეს უწინარეს ყოვლისა თვით კოლმეურნეობის საქმეა.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დიდი პოლიტიკური აღზრდობის ვითარებაში განხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სტალინად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“. როცა ეხებოდნენ გამოუყენებელ რეზერვებს, მშრომელნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და მიწით სარგებლობის წესების განუხრელად შესრულება.

ორატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ უნდა სრულდებოდეს მიწების გაუმჯობესებისა და ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისგან მიწის დაცვის სავალდებელო ღონისძიებანი. მან დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და მიტაცების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

საიუბილეო წლისათვის გორის რაიონის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. მათი წარმატებანი შესრულების გარანტია პირველი კვარტალის შედეგები. ხორცის დამზადების გეგმა რაიონმა შეასრულა 215 პროცენტით, რძისა — 144 პროცენტით, კვერცხისა — 175 პროცენტით. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საკითხს, რომელსაც პლენუმი განიხილავს, თქვა აფხაზეთის სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. გ. გილაშვილმა**, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. როგორც ამხ. ვ. პ. ძაღანაძის მოხსენებაში აღინიშნა, სერიოზული ნაკლოვანებანი მიწის დაცვასა და მიწით სარგებლობაში აფხაზეთშიც არის. უნდა ითქვას, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მეეხო რა მიწის დაცვის გაძლიერებისა და მიწით სარგებლობის წესების შესრულების ღონისძიებებს, ამხ. გილაშვილმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ საქმეში მიღწეულია დადებითი შედეგები. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძოლა მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის კომუნისტები სისტემატურად, ყოველდღიურად, პრინციპულად იმუშავებენ ამისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: ამას წინათ გიმორაო პარტიის გაგრის რაიკომის პლენუმი, სადაც საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ დირექტორმა ილამარიკა შიდასამეურნეო მიწათმოწყობაზე, კერძოდ, საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად მისცეს საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და მოსამსახურეებს. მთელი რიგი მუშები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობიდან წავიდნენ, კვლავ საკარმიდამო ნაკვეთებით. მაგრამ ამ ფერფლებმა, ბრიგადა და ფერმა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, შრომის ანაზღაურება უშალოდ დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. თვითეულ კოლექტივს, თვითეულ მუშას აქვს მყარი დავალება, ნორმები, და ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა გადაჭარბებით შეასრულონ ისინი.

მიწით სარგებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში ჩვენ გვეხმარება პარტიის რაიკომის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება, რომელიც მკვეთრად გაკრიტიკა მიწისადმი უყაირათოდ დამოკიდებულება. პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების საქმითნად მოჰკიდა ხელი რაიონის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მინდვრის საზაფხულო სამუშაოები, საფუძველი ექმნება საიუბილეო წლის მოსავალს. ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამ დროზე დაამთავრა საშემოდგომო თავთავიანთა ნათესებში დამატებითი სასუქების შეტანა მთელ ფართობზე. მალე დამთავრდება რწყვა. იმედი გვაქვს, რომ ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 30 ცენტნერ მარცვლეულს. წარმატებით მიმდინარეობს ბოსტნეულის მოსავლის აღება და დამზადება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მეურნეობამ დაამზადა 250 ტონა ბოსტნეული დიმისი. რეალიზაციის შედეგად მიიღო 48 ათასი მანეთი, იმდენივე, რამდენიც მთელი გასული წლის მანძილზე იყო. წარმატებით მიმდინარეობს დოლი და ხეივა.

ამხ. გასანოვმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ხშირად მიწის ფართობებს სხვადასხვა ორგანიზაციებს აძლევენ კარიერების მოსაწყობად, მაგრამ დამუშავების შემდეგ მათ არ ასწორებენ და მიწით მოსარგებლეებს არ უბრუნებენ. არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა ობიექტის მშენებლობისათვის გამოჰყოფენ ნაყოფიერ მიწებს, რომლებსაც შემდეგ უპატრონოსნო ადამიანები პირადი გამდიდრებისათვის იყენებენ. ორატორმა მოიყვანა აგრეთვე საზოგადოებრივი მიწების მიტაცებისა და განიავების მაგალითები.

ორატორმა მთელი რიგი სამართლიანი პრეტენზიები წაუყენა მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა მეურნეობას. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის სახელით მან პირობა მისცა ალენუმს, რომ მეურნეობა შეასრულებს გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ნ. ჯუსოევმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა მიწის კანონის გახუხრელად დაცვის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის, მოსავლიანობის გადიდების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობის გადიდების ამოცანებს.

სამხრეთ ოსეთში, აღნიშნა მან, სოფლის მეურნეობას უდიდეს ზარალს აყენებს ეროზია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებულია ასობით ჰექტარი სახნავ-სათესი. ამ ბოლო ორ წელიწადში ტყის საცავი ზოლები გაშენებულია 128 ჰექტარზე და მოტყეებულია 128 ჰექტარი ციცაბო ფერდობები. ფერდობთა ეროზიის წინააღმდეგ ეფექტიანი საშუალებაა მრავალწლიანი ბალახების, კერძოდ ესპარცეტის ნათესები. ამჟამად ოქერს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ბალახები დათესილია 2.400-ზე მეტ ჰექტარზე, მეტ წილად მთის ფერდობებზე. მრავალწლიანი ბალახები დაითესება კიდევ ასობით ჰექტარზე, რაც საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

ამხ. ჯუსოევმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მიწის სავარგულების გამოყენებაში. მაგალითად, შაქრის ჭარხლის პლანტაციებს უჭირავს 579 ჰექტარი, რომელთაგან 160-170 ჰექტარი ურწყავი ნაკვეთებია. მეურნეობებში, რომლებსაც ეს კულტურა მოჰყავთ ურწყავ ნაკვეთებზე, იყენებენ დიდაო მუშახელს, რაც ზრდის ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას. სარწყავი ფართობები უნდა გაიზარდოს, სწორი არ არის, როცა ახლად ჩაყრილ ბაღებში მწკრივთაშორის ფართობს იყენებენ შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების დასათესად. ასეთ შემთხვევებში ბაღები გადაჭრითულია, ძნელდება ნარგავების მოვლა, ჭიანურდება მსხმოიარობის ვადები, მეურნეობებს აკლდება ასობით ტონა ხილი.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციისათვის.

ზუსტად უნდა სრულდებოდეს მიწის კანონი, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და მიტაცების არც ერთი შემთხვევა, მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ კოლმეურნეობის წესდების დამრღვევებს.

სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სრული გამოყენება, თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართო ინიციატივა, თავდადებული შრომა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, საიუბილეო წლის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საფუძველია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. ბ. გელდიაშვილმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მეურნეობათა უმრავლესობა ეფექტიანად იყენებს მიწას, ამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას, ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებანია მიწების რაციონალურად გამოყენების, მათი ნაყოფიერების გადიდების, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საქმეში.

მიწების გამოყენებისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია ის, რომ მთელ რიგ მეურნეობებში სახნავ-სათესს დაუმუშავებლად ტოვებენ და იგი ნასვენ მიწად იქცევა. მთელ რიგ რაიონებში ასეთ მიწებს დიდი ხნის მანძილზე არ აქცევენ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში, რაც კიდევ უფრო ზრდის ნასვენი მიწების ფართობს. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დაღეთის კოლმეურნეობაში 1969 წელს არ აუთვისებიათ 490 ჰექტარი სახნავ-სათესი, ანუ მთელი ფართობის 31 პროცენტი და ნასვენ მიწად გადაქცეს იგი. გეგეჭკორის რაიონის ვედიდკარის საბჭოთა მეურნეობაში 363 ჰექტარი სახნავ-სათესიდან მხოლოდ 55 ჰექტარი იყო თესილი. ახალქალაქის რაიონში სახნავ-სათესის ფართობი 1955 წელთან შედარებით 6.300 ჰექტარით შემცირდა, ამიტომ აქ მოიყვანეს 5.560 ტონით ნაკლები მარცვლეული და 2.500 ტონით ნაკლები კარტოფილი. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა რაიონებსა და მეურნეობებში.

მთელი სახნავ-სათესი, ნასვენი მიწები უნდა მოექცეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. წელს ამ მიწებზე მოსავალი უნდა აიღოთ.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო სარწყავი მიწების სწორად გამოყენებას. ამ ბოლო ოთხ წელწადში საექსპლოატაციოდ გადასცეს 34.700 ჰექტარი სარწყავი მიწები. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 333 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწები აქვთ. ეს საკმაოდ დიდი ფართობია — 31 პროცენტი მთელი სახნავ-სათესისა და ამ ფართობებსა, რომელიც უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს, სარწყავი მიწების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას, გაადიდებს მეცხოველეობის პროდუქტიულობას. ამის თქმა იმისათვის დაგვჭირდა, რომ სარწყავ მიწებზე მცირე მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, გარდაბნის რაიონის კუმისის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ერთ ჰექტარ სარწყავ მიწაზე მიიღეს მხოლოდ 12,6 ცენტნერი ხორბალი, 7 ცენტნერი სიმინდი, 14 ცენტნერი კარტოფილი, 41 ცენტნერი ბოსტნეული. ეს იმით აიხსნება, რომ მეურნეობაში არ იცავენ რწყვის ნორმებსა და ვადებს, არ ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსს.

ამ. გელდიაშვილმა აღნიშნა, რომ ხშირად სამრეწველო ობიექტების, გზების, კურორტების შენებლობისათვის გამოჰყოფენ სახნავ-სათეს მიწებს, მაშინ როცა ამ მიზნებისათვის უნდა გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უვარგისი ნაკვეთები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი ამ საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად. 1965 წლის შემდეგ მთავრობამ მიიღო რამდენიმე დადგენილება, რომლებშიც მკაცრად აფრთხილებდა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევდნენ მიწით სარგებლობის დადგენილ წესს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამ ბოლო დროს მიიღო აგრეთვე დადგენილებანი საკარმიდამო, საგარაკო და კოლექტიური ბაღ-ბოსტნების ნაკვეთებით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ. საჭიროა ზუსტად სრულდებოდეს მთავრობის გადაწყვეტილებანი, დებულებათა შესრულების საფუძველია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. ბ. გელდიაშვილმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მეურნეობათა უმრავლესობა ეფექტიანად იყენებს მიწას, ამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას, ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებანია მიწების რაციონალურად გამოყენების, მათი ნაყოფიერების გადიდების, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საქმეში.

მიწების გამოყენებისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია ის, რომ მთელ რიგ მეურნეობებში სახნავ-სათესს დაუმუშავებლად ტოვებენ და იგი ნასვენ მიწად იქცევა. მთელ რიგ რაიონებში ასეთ მიწებს დიდი ხნის მანძილზე არ აქცევენ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში, რაც კიდევ უფრო ზრდის ნასვენი მიწების ფართობს. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დაღეთის კოლმეურნეობაში 1969 წელს არ აუთვისებიათ 490 ჰექტარი სახნავ-სათესი, ანუ მთელი ფართობის 31 პროცენტი და ნასვენ მიწად გადაქცეს იგი. გეგეჭკორის რაიონის ვედიდკარის საბჭოთა მეურნეობაში 363 ჰექტარი სახნავ-სათესიდან მხოლოდ 55 ჰექტარი იყო თესილი. ახალქალაქის რაიონში სახნავ-სათესის ფართობი 1955 წელთან შედარებით 6.300 ჰექტარით შემცირდა, ამიტომ აქ მოიყვანეს 5.560 ტონით ნაკლები მარცვლეული და 2.500 ტონით ნაკლები კარტოფილი. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა რაიონებსა და მეურნეობებში.

მთელი სახნავ-სათესი, ნასვენი მიწები უნდა მოექცეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. წელს ამ მიწებზე მოსავალი უნდა აიღოთ.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო სარწყავი მიწების სწორად გამოყენებას. ამ ბოლო ოთხ წელწადში საექსპლოატაციოდ გადასცეს 34.700 ჰექტარი სარწყავი მიწები. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 333 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწები აქვთ. ეს საკმაოდ დიდი ფართობია — 31 პროცენტი მთელი სახნავ-სათესისა და ამ ფართობებსა, რომელიც უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს. სარწყავი მიწების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას, გაადიდებს მეცხოველეობის პროდუქტიულობას. ამის თქმა იმისათვის დაგვჭირდა, რომ სარწყავ მიწებზე მცირე მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, გარდაბნის რაიონის კუმისის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ერთ ჰექტარ სარწყავ მიწაზე მიიღეს მხოლოდ 12,6 ცენტნერი ხორბალი, 7 ცენტნერი სიმინდი, 14 ცენტნერი კარტოფილი, 41 ცენტნერი ბოსტნეული. ეს იმით აიხსნება, რომ მეურნეობაში არ იცავენ რწყვის ნორმებსა და ვადებს, არ ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსს.

ამ. გელდიაშვილმა აღნიშნა, რომ ხშირად სამრეწველო ობიექტების, გზების, კურორტების შენებლობისათვის გამოჰყოფენ სახნავ-სათეს მიწებს, მაშინ როცა ამ მიზნებისათვის უნდა გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უვარგისი ნაკვეთები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი ამ საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად. 1965 წლის შემდეგ მთავრობამ მიიღო რამდენიმე დადგენილება, რომლებშიც მკაცრად აფრთხილებდა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევდნენ მიწით სარგებლობის დადგენილ წესს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამ ბოლო დროს მიიღო აგრეთვე დადგენილებანი საკარმიდამო, საგარაკო და კოლექტიური ბაღ-ბოსტნების ნაკვეთებით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ. საჭიროა ზუსტად სრულდებოდეს მთავრობის გადაწყვეტილებანი, ალიკვეთოს მიწის განიავება და უკანონოდ გამოყენება.

სიტყვა ეძლევა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანს **გ. ჭ. კვათიაშვილს.** მან დამსწრეთ მოაგონა, რომ „კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ კოლმეურნე გლეხობა ვალდებულია ყოველმხრივ უფრთხილდებოდეს მიწას, ზრდიდეს თვითეული ჰექტარის ნაყოფიერებას.

მცხეთის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე მცირემიწიანია რესპუბლიკაში. ამ ბოლო წლებში აქ განხორციელდა ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების გადიდების მთელი რიგი ღონისძიებანი. მთის ფერდობებზე, ღელეებსა და ხეებში 200 ჰექტარზე გაშენებულია ტყის კულტურები, დატრესილია 25 ჰექტარი, 217 ჰექტარზე გაშენებულია ტყის საცავი ზოლები და სხვ. ამ საქმეში რაიონის მეურნეობების დიდ დახმარებას უწევს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ იყენებენ თესლბარნებს. სოფელ მუხრანის კოლმეურნეობაში ხორციელდება ღონისძიებანი 700 ჰექტარი ბარბტენიანი მიწების ათვისებისათვის.

მანჭანთსაცდელი სადგურის მეურნეობაში საკუთარი ძალებით რწყავენ 280 ჰექტარ მიწებს. სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა რწყავს 100 ჰექტარ სახნავ-სათესს. ეგეგმი გათვალისწინებულია კიდევ 530 ჰექტარი მოირწყას ნიჩბისის, გალავნის, ქსოვრისის საბჭოთა მეურნეობებში, მუხრანისა და საგურამოს კოლმეურნეობებში. ამის შემდეგ რაიონში სარწყავი მიწების ფართობი 7.290 ჰექტარი ანუ მთელი სახნავ-სათესის 77 პროცენტი იქნება.

ჩვენი აზრით, თქვა ორატორმა, მდინარე ქსაწე ქსნისა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, რის შედეგად მარტო ქსოვრისის ხეობის სანერგე მეურნეობა ითვისებს 150 ჰექტარ ნაყოფიერ მიწებს.

რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვას. სამწუხაროდ, სოფლად ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც სასარგებლო შრომას არ ეწევიან საზოგადოებრივ მეურნეობაში და სარგებლობენ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ყველა სიკეთით. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით ცალკეულ პირებს ჩამოართვეს მიწის ნაკვეთები. ადმინისტრაციული ზომებიც გამოიყენეს უფრო მეტ დახმარებას უნდა გვიწევდნენ მიწის კანონის განუხრელად დაცვისათვის ბრძოლაში.

ბაღ-ბოსტნების ნაკვეთებზე მუშაობა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ აშენონ საზაფხულო ტიპის სახლი, რომლის ფართობი შეიძლება იყოს 12-25 კვადრატული მეტრი და ოთახი არა უმეტეს 10 კვადრატული მეტრისა. მაგრამ ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში ნაკვეთზე, რომელიც სოფელ ცხვარიჭამიის მახლობლად მდებარეობს, კაპიტალურ სახლებს აშენებენ.

რაიონის მშრომელთა სახელით ამხ. კვათიაშვილმა პირობა მისცა პლენუმს, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები უფრო მაღლა აყენებენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ღირსეულად შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს, კიდევ უფრო გაზრდიან მიწის ნაყოფიერებას.

თელავის რაიონის ნაფარეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ს. ოლეუაშვილმა** აღნიშნა, თუ როგორ შეიცვალა მიწაზე ადამიანთა შეხედულებები. წავიდა ის დრო, როცა ერთი მტკაცეული მიწა-სათვის ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ მამა და შვილი, ძმები, დიდი ხნის მეზობლები.

მაგალითისათვის აკიოოთ ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები. საბჭოთა მეურნეობის წარმოების ზრდის შედეგად სოფლის მცხოვრებლები ახლა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკარმიდამო ნაკვეთებს. შემოსავლის ძირითადი, გადამწყვეტი წყარო მათთვის საზოგადოებრივი მეურნეობა გახდა. ამიტომ, როცა საჭირო იყო საბჭოთა მეურნეობის ვენახების გაფართოება, ოცდათმა კაცმა თავისი მოვლილი საკარმიდამო ნაკვეთები დაუთმო საბჭოთა მეურნეობას და თვითონ აიღეს სოფლიდან მოშორებით მდებარე ნაკვეთები.

ბარაქიანია ნაფარეულის მიწა. საბჭოთა მეურნეობაში მარტო ვენახები 1.200 ჰექტარზეა გაშენებული. შარშან ვენახებმა მეურნეობას მისცეს 1.200 ათასი მანეთი მოგება.

მეურნეობის დიდი რენტაბელობა სოფელსაც დაეტყო. მას ამშვენებს 4 საბავშვო ბაღისა და ბადის, საშუალო სკოლის, ამბულატორიის, სხვადასხვა მაღაზიისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა შენობები. მალე გაიხსნება კულტურის სახლი.

სიკეთე ადვილი მოსაპოვებელი როდია. ეს იცის საბჭოთა მეურნეობის თვითეულმა მუშამ და მოსამსახურემ. ნაფარეულში ბევრი რამ კეთდება წარმოების ახალი რეზერვების გამოსაძებნად. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაბანდებული თვითეული მანეთიდან მეტი ამოგების მისაღებად. მარტო ნიადაგების კარტოგრამებმა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის აგროქიმიური ლაბორატორიის მუშაკებმა შეადგინეს, საშუალება მოგვცა დაგვეზოგა 400 ტონამდე კალიუმის სასუქები, მიგვეღო 5.000 მანეთი ეკონომია. ლაბორატორიის თანამშრომლებს არც მექანიზატორები ჩამორჩებიან. ვენახების დამუშავება და ვაზისათვის ბორდოს სითხის მოფრქვევა ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე მანქანით საბჭოთა მეურნეობას დაუზოგავს 4.000 მანეთზე მეტს.

მოსავლიანობის გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რწყვას. შარშან საბჭოთა მეურნეობაში მორწყული იყო 600 ჰექტარი ვენახები და ჰექტარზე მავიღეთ 62,7 ცენტნერი ყურძენი, თითქმის რვა ცენტნერით მეტი, ვიდრე საშუალოდ მეურნეობაში. ყველა ვენახი რომ მოირწყას, საბჭოთა მეურნეობის ფულადი შემოსავალი 120 ათასი მანეთით მეტი იქნება. ამიტომ სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია ჩვენი უპირველესი ამოცანაა. წელს ეს საშუშაოები დაგეგმილია 300 ჰექტარზე, მაგრამ ეს ცოტაა. მორწყვის პრობლემის მთლიანად გადაჭრისათვის საჭიროა, რომ დაგვეხმარონ სარწყავი ქსელის დაპროექტებასა და გაკეთებაში 1.200 ჰექტარზე.

სიტყვა ეძლევა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივანს **ა. ხ. ბეჭაურს.** რაიონის მეურნეობებში, თქვა მან, მიმდინარეობს დიდი მუშაობა მიწის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამის შედეგად ჩვენი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები თბილისისა და რუსთავის მშრომელებისათვის გახდნენ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, რძის, ხორცისა და კვერცხის უდიდესი მიმწოდებლები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი შეგვიძლია დაეადასტუროთ თუნდაც ბოსტნეულის დამზადების მაგალითით. შარშან რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 33 ათასი ტონა ბოსტნეული, სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1960 წელს. მიმდინარე სეზონში კი საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 40 ათასი ტონა ბოსტნეული. 2-3-ჯერ გაიზარდა ხილისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ვარკეთილის, ლილოს, სამგორის, ჯანდარისა და სხვა დიდი საბჭოთა მეურნეობების მიწის საგარეულები განლაგებულია სამგორის ველზე, იქ, სადაც მიწა იყო უნაყოფო, გამოუსადეგარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ახლა ეს მიწები ირწყვება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად გამოტანილი საკითხი — პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მიწის კანონისა და მიწით სარგებლობის წესების დაცვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ — კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან, ამაღლებს პასუხისმგებლობას მიწის ეფექტიანი გამოყენების პრობლემის გადაწყვეტისათვის, აღნიშნა ორატორმა.

ბრატისლავა. 4 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სიმაკოვი გვატყობინებს:

სადღესასწაულოდ მორთული სლოვაკიის დედაქალაქი დღეს ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არმიის მიერ ქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავს. მზიანი დღე გათენდა. მზის სხივებით არის განათებული სლავინის ბორცვი, სადაც მთელი ქალაქის თავზე დიდებულად აღმართული საბჭოთა განმათავისუფლებელი ჯარისკაცების ძეგლი.

აქ საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს ძეგლი. ობელისკთან გვირგვინები მიიტანეს ჩეხოსლოვაკიის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის, საბჭოთა კავშირის პრაღის საკონსულოსა და ბრატისლავაში სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს წარმომადგენლებმა, მომმე სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა, ბრატისლავის საქალაქო ორგანიზაციების, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის, სლოვაკიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ჯარების ცენტრალური ჯგუფის სარდლობისა და პირადი შემადგენლობის წარმომადგენლებმა, ძმადნაფიცი ქალაქ კიევის დელეგაციამ.

დღესვე გვეზდოსლავის სახელობის თეატრში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუბალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილაკი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ლენარტი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. ციოლკაკი, სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, ჯარების ცენტრალური ჯგუფის სარდლობის წარმომადგენლები, საბჭოთა ვეტერანები — ბრატისლავის საბჭოთა ოლქის ბრძოლისმოყვარეები, ომის ინვალიდები, ომის ბავშვები, ომის ვეტერანები, ოცდაათ ათასამდე ადამიანი.

ბრატისლავა ბრწყინავს. ბაღებიდან, ბალკონებიდან, ფანჯრებიდან ფრიალებენ ეროვნული ფერადი დროშები. ქალაქის ცენტრში, ბრატისლავის ბულვარებში, ბაღებში, ეზოებში, ბინებში ბევრი ადამიანია. ბევრ ადამიანს ეცვამ ომის ინვალიდთა ფორმა. ბევრ ადამიანს ეკიდა ორდენ-მედალი. ბევრ ადამიანს ეცვა ეროვნული ტანსაცმელი. ბევრ ადამიანს ეცვა ეროვნული ფერადი ფეხ

საქართველოს ამბავ-ბაზეზე

თბილისი — ნოვოსიბირსკი

ახალი საჰაერო რეისი

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკებმა გახსნეს ნავიგაცია ახალი ავიახაზით თბილისი-ჩელიაბინსკი-ნოვოსიბირსკი. დასავლეთ ციმბირის უდიდესი სამეცნიერო, კულტურული და სამრეწველო ცენტრი საბჭოთა კავშირის ოცდამეათე ქალაქია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სადაც ფრთოსანი მანქანები დაჰყავთ ქართველ მფრინავებს.

...თბილისის აეროპორტში ბევრი ხალხი შეკრებილა. დირექტორმა გამოაცხადა, რომ დაიწყო ჩასხდომა 2893 რეისზე, რომელიც მიდის მარშრუტით თბილისი-ჩელიაბინსკი-ნოვოსიბირსკი, და დასძინა: „მგზავრებს ვუღოცავ პირველ რეისს ახალი ავიახაზით. გისურვებთ ბედნიერ ფრენას!“.

მანქანა მიჰყავს გამოცდილ მფრინავს-მფრინავთა ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილეს ვ. კვინიკაძეს. მეორე პილოტის სავარძელშია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. გელაშვილი. შტურმანია — ა. დუნაევსკი, ბორტმექანიკოსი გ. მარტიროსოვი, ბორტრადისტი ს. ჯიქია. მგზავრებს ხალისიანად ემსახურებიან ახალგაზრდა ბორტგამყოლები ნანა ყიფიანი და ბელა აბელოვა.

...პირველი რეისი კარგად წარიმართა. 6 საათისა და 20 წუთის ფრენის შემდეგ თვითმფრინავი ნოვოსიბირსკის აეროპორტში დაეშვა. (საქდესი).

საგასტროლოდ გერმანიაში

რუსთაველის თეატრი ეწვევა ბერლინს, დრეზდენს, ლაიფციგს

შარშან, ნოემბერში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა. ჩვენი ხელოვნების ნიჭიერი წარმომადგენლების ტრიუმფის ექო ჯერ კიდევ არ მიმწყდარა, და აი უკვე ცნობილი გახდა, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება გერმანიაში და 14 მაისს წარსდგება ბერლინელი მაყურებლის წინაშე. შემდეგ ეწვევა დრეზდენს და ლაიფციგს. ქართველი მსახიობები პოლონეთშიც — კერძოდ ვარშავასა და კრაკოვში გამართავენ რამდენიმე წარმოდგენას. ტურნე ევროპაში 14 ივნისს დამთავრდება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდნენ გერმანელი სტუმრები, მათ შორის დრეზდენის თეატრის დრამატურგიული სექციის გამგე ულფ კაინი, (დელეგაციის ხელმძღვანელი), თეატრალური საზოგადოების პირველი მდივანი ვალტერ ფოგტი, დეპეშათა საagენტოს ადენ-ის თეატრის განყოფილების შეფი ვილი ფრიდი, ხელოვნების საagენტოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილე კანს ემერიჰი, ადენის საagენტოს თანამშრომელი დეტლევ შტაინბერგი. მათ ნახეს რუსთაველის თეატრის რამდენიმე დადგმა და მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლებს: „სამანიშვილის დედინაცვალს“, „ფედრას“, „ხანუმას“, „ანტიგონეს“ და სხვ.

რუსთაველის თეატრი გერმანელ და პოლონელ მაყურებლებს უჩვენებს სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ და დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“, ამასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ანუის „ანტიგონე“, ს. ჟღენტის „მიწის შვილები“, სცენები სხვადასხვა დადგმიდან (შექსპირის „მეფე ლირი“, ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“; „ვეფხისტყაოსანი“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, რასინის „ფედრა“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, კარჯელეს „დაკარგული ბარათი“, ცაგარლის „ხანუმა“).

ქართველი მსახიობები გერმანიაში საქეყნოდ აღიარებულ „ბერლინერ ანსამბლში“ (ბრეხტის თეატრი) გამოვლენ.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბრეხტის თეატრი მომავალ წელს საგასტროლოდ გვეწვევა საქართველოში, ქართველი საზოგადოება ინტერესით ელის გერმანელ მეგობრებთან შეხვედრას.

რუსთაველის თეატრის კოლექტივის გასტროლები გერმანიასა და პოლონეთში დიდი მოვლენაა ქართული თეატრალური კულტურის ისტორიაში. ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეებს ესახელებინოთ მშობლიური ხელოვნება უცხოეთში.

ნ. ჯაფარიძე.

სიხარული...

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი სიხარული ეწვია ოსანაძე-ჩინწარაძეების ოჯახს — მერი ოსანაძის სამი შვილი — სამი ქალიშვილი შეეძინა.

ამასთან დაკავშირებით რუსთავის სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა თ. ზურმუხტაშვილმა თქვა:

— მშობიარობა ნორმალურად წარიმართა, ბავშვებიც ჯანმრთელი არიან. მათი ზრდა-განვითარება კარგად მიმდინარეობს.

7 აპრილი ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეა

ავი სენი და მეცნიერება

რა იწვევს კიბოს?

ბოლო დღეს ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემად ითვლება. დაავადების დიდი სიხშირე, ავადმყოფობის ხიმძიმე, დაუსრულებელი კამათი მისი მიზეზების შესახებ მის დასამუშავებლად იზიდავს სულ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს— არა მარტო ექიმებს, არამედ აგრეთვე ბიოლოგებს, ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს და აგრეთვე ტექნიკოსებს.

სიმსივნეთა გაჩენის მიზეზები ჯერ კიდევ არ არის ნათელი. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არა ვიცით რა კიბოს წარმოშობის შესახებ. დღევანდელი მომენტისათვის სიმსივნეთა შესახებ დიდი რაოდენობით დაგროვდა ცნობები, რომლებიც მიღებულია როგორც ადამიანის ავადმყოფობაზე დაკვირვებებით, ისე ცხოველებზე მრავალი ცდით. მთელი ეს ცნობები უდავოდ გვიჩვენებენ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ადამიანის სიმსივნეთა მიზეზები შეიძლება იყოს გარკვეული ქიმიური ნივთიერებანი და ზოგიერთი გამოსხივება. ხოლო რამდენადაც ამ სიმსივნეთა წარმოშობა მჭიდროდ დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან, მათ „პროფესიულად“ ეწოდებათ.

მათი მიზეზია ხანგრძლივი ზემოქმედება მავნე ნივთიერებებისა, რასაც ადამიანები მუშაობის პროცესში განიცდიან. კანის პროფესიული კიბო გამოწვეული იყო ზოგიერთი პოლიციკლური ნახშირწყალბადებით და პირველ რიგში ბენზ(ა) პირენით, რომელიც სხვადასხვაგვარი ფისებისა და მინერალური ზეთების ყველაზე უფრო ძლიერად მოქმედი საწყისია. ფილტვების პროფესიული კიბო რადიოაქტიურ ნივთიერებათა ხანგრძლივად შესუნთქვის შედეგი იყო.

პროფესიულ სიმსივნეებზე დაკვირვებებმა დასაბამი მისცა კანცეროგენულ ნივთიერებებზე, ესე იგი ისეთ ნივთიერებებზე. წარმოდგენილ, რომლებიც კიბოს იწვევენ. ამჟამად ცნობილია რამდენიმე ასეული ქიმიური ნივთიერება, რომელთა შეყვანას ლაბორატორიულ ცხოველთა ორგანიზმში სხვადასხვა სიმსივნის განვითარება მოსდევს. ეს ოვისება შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს, ნახშირწყალბადებს, ამინებს, ნიტროზამინებს და ა. შ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ეს ნივთიერება ერთნაირად საშიში როდი ადამიანისათვის. კანცეროგენული ნივთიერებანი პირობითად შეიძლება გაიყოს 4 ჯგუფად.

პირველში შედის სულ რამდენიმე ნივთიერება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ადამიანის სიმსივნეები, რაც დამტკიცებულია პროფესიულ კიბოზე დაკვირვებებით. მეორე ჯგუფს მივაკუთვნებთ რამდენიმეათეულ ქიმიურ ნივთიერებას, რომლებიც შედარებით მოკლე ვადაში სიმსივნეებს უქმნიან ბევრ საცდელ ცხოველს და რომლებიც ადამიანისათვის პოტენციურად საშიში გვაონია. დანარჩენ ორ ჯგუფში შედიან შედარებით სუსტი კანცეროგენული ნივთიერებანი. კიბოს პროფილაქტიკის ღონისძიებათა შემუშავებისათვის განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს ორი პირველი ჯგუფის კანცეროგენულ ნივთიერებათა თავისებურებებს.

ამჟამად კანის პროფესიული კიბოს ბევრი სახეობა პრაქტიკულად გაქრა მუშაობის ახალი ტექნოლოგიისა და პირადი ჰიგიენის კომპლექსის მეოხებით. ანილინ-ხაღებავების საწარმოთა მუშაკების დაცვის ღონისძიებებმა, რომლებიც სსრ კავშირში ხორციელდება და რომელთა მიზანია წარმოებიდან ამოღებულ იქნას მთელი რიგი ამკარად კანცეროგენული ნივთიერებანი, მუშების სისტემატურმა პროფილაქტიკურმა გასინჯვამ, მათ შორის ციტოსკოპიამ, ჰიგიენურმა ღონისძიებებმა და პირადი ჰიგიენის ზომებმა შესაძლებელი გახადა დაახლოებით 10-ჯერ შეგვემცირებინა საშარდე ბუშტის პროფესიული ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადება. ერთი სიტყვით, თანამედროვე მედიცინა იძლევა სავსებით გარკვეულ პასუხს: არსებობს კიბოს პროფილაქტიკის შესაძლებლობა.

რა იწვევს კიბოს?

მაგრამ პროფესიული კიბოს შემთხვევები ფრიად იშვიათია და სიმსივნეებით ყველა დაავადების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ. როგორიღაა კანცეროგენულ ნივთიერებათა როლი სიმსივნეებით დაავადებათა უდიდესი უმრავლესობის წარმოშობაში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სულ მარტივი გამოკვლევები. კანის პროფესიულ კიბოზე დაკვირვებამ უდავოდ დაადასტურა: მისი წარმოშობა შეიძლება იყოს შედეგი კანის გაჭუჭყიანებისა მჭკვარტლით, ფისით, სათბობის წვის პროდუქტებით. იგივე პროდუქტები შედის საქვაბეებიდან და ბევრი სარეწველო საწარმოდან ამომავალი კვამლის შემადგენლობაში. სათბობის წვისას წარმომობილი კანცეროგენული ნახშირწყალბადები კვამლთან და სხვა ამონაბოლქვებთან ერთად ხვდება ატმოსფერულ ჰაერში, აჭუჭყიანებენ მას და, მაშასადამე, აჭუჭყიანებენ ჩვენს ფილტვებს. პროფესიული მავნეობა სოციალურში გადაიზრდება.

ფილტვების კიბო გასული საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იშვიათი დაავადება იყო, მხოლოდ მე-14 ადგილი ეჭირა სხვა სახეობათა ავთვისებიან სიმსივნეებში. ახლანდელი საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული, ყველა ეკონომიურად განვითარებულ ქვეყანაში ეს დაავადება მნიშვნელოვნად გახშირდა და მე-2-3 ადგილზე გამოვიდა.

ფილტვების კიბოთი დაავადების გახშირებამ საყოველთაო ყურადღება მიაპყრო მისი შესაძლო მიზეზების შესწავლას. ამ მიზეზებზე თავისებურ მითითებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფილტვების კიბოთი დაავადება ქალაქებში უფრო ხშირია, ვიდრე სოფელ ადგილებში. იგი გაცილებით მეტია მსხვილ ცენტრებში, ვიდრე წვრილ დასახლებულ პუნქტებში. განსაკუთრებით მაღალია ფილტვების კიბოთი დაავადება ინდუსტრიულ რაიონებში.

1949 წელს გამოკვლევის სპექტრულ-ფლუორესცენციური მეთოდების საშუალებით აღმოვაჩინეთ ქალაქის გაჭუჭყიანებულ ჰაერში კანცეროგენული ნახშირწყალბადი ბენზ(ა)-პირენი, რაც შემდეგში დაადასტურა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა მთელმა რიგმა გამოკვლევებმა. ამ კანცეროგენული ნივთიერების რაოდენობა მსხვილ ქალაქებსა და ინდუსტრიულ რაიონებში მეტია, ვიდრე წვრილ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში.

გამორკვეულ იქნა მეორე კანონზომიერებაც. ატმოსფეროში გამოტყორცნილი კანცეროგენული ნივთიერება ბენზ(ა)პირენის მოცულობა დამოკიდებულია სათბობის წვის რეჟიმზე. რაც უფრო სრულია წვა, მით უფრო ნაკლებია კანცეროგენული ამონაბოლქვი. ეს დასკვნა საფუძვლად უნდა დედოს ჰაერის გაწმენდის ტექნიკურ და ჰიგიენურ ღონისძიებებს.

სათბობის წვის სრულყოფა, გათბობის სისტემების რაციონალიზაცია, ინდივიდუალური ღუმელების შეცვლა ცენტრალიზებული საქვაბეებით, საცხოვრებელი სახლების მიერთება თბოცენტრალებთან და სხვ.—ყოველივე ეს ხელს უწყობს ჰაერის აუზის სიწმინდის დაცვას. ამას მკაფიოდ მოწმობს მოსკოვის გამოცდილება — მოსკოვი ჰაერის სიწმინდის მსრივ ხელსაყრელად განსხვავდება მოფოლოის სხვა უდიდესი ქალაქებისაგან.

კანცეროგენული ნახშირწყალბადებით აბინძურებული ჰაერის გაჭუჭყიანების ერთადერთ წყარო, გარდა გათბობის სისტემებისა და სამრეწველო საწარმოებისა, ავტოტრანსპორტია. ავტომანქანების ამონაბოლქვი გზებში მნიშვნელოვანი რაოდენობით ნაპოვნია კანცეროგენული ნახშირწყალბადები და პირველ რიგში ბენზ(ა)პირენი. ამ საკითხისადმი მიძღვნილმა მრავალმა გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ეს რაოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნას. სათბობად მირთვა, მისი უფრო სრული წვა, კერძოდ, წინაკამერულ-ჩირაღდნული ანთების შემოღების შედეგად, ნეიტრალიზატორებისა და ზოგიერთი სხვა მოწყობილობის გამოყენება, ძრავის მუშაობის კარგად დაყენებული რეჟიმი — აი არასრული ნუსხა იმ პირობებისა.

ცნილი კანცეროგენული ნივთიერება ბენზ(ა)პირენის მოცულობა დამოკიდებულია სათბობის წვის რეჟიმზე. რაც უფრო სრულია წვა, მით უფრო ნაკლებია კანცეროგენული ამონაბოლქვი. ეს დასკვნა საფუძვლად უნდა დედოს ჰაერის გაწმენდის ტექნიკურ და ჰიგიენურ ღონისძიებებს.

სათბობის წვის სრულყოფა, გათბობის სისტემების რაციონალიზაცია, ინდივიდუალური ღუმელების შეცვლა ცენტრალიზებული საქვაბეებით, საცხოვრებელი სახლების მიერთება თბოცენტრალებთან და სხვ.—ყოველივე ეს ხელს უწყობს ჰაერის აუზის სიწმინდის დაცვას. ამას მკაფიოდ მოწმობს მოსკოვის გამოცდილება — მოსკოვი ჰაერის სიწმინდის მსრივ ხელსაყრელად განსხვავდება მოფოლოის სხვა უდიდეს ქალაქებისაგან.

კანცეროგენული ნახშირწყალბადებით აბინძურებული ჰაერის გაჭუჭყიანების ერთადერთ წყარო, გარდა გათბობის სისტემებისა და სამრეწველო საწარმოებისა, ავტოტრანსპორტია. ავტომანქანების ამონაბოლქვი გზებში მნიშვნელოვანი რაოდენობით ნაპოვნია კანცეროგენული ნახშირწყალბადები და პირველ რიგში ბენზ(ა)პირენი. ამ საკითხისადმი მიძღვნილმა მრავალმა გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ეს რაოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნას. სათბობად მირთვა, მისი უფრო სრული წვა, კერძოდ, წინაკამერულ-ჩირაღდნული ანთების შემოღების შედეგად, ნეიტრალიზატორებისა და ზოგიერთი სხვა მოწყობილობის გამოყენება, ძრავის მუშაობის კარგად დაყენებული რეჟიმი — აი არასრული ნუსხა იმ პირობებისა.

ლ. შაბადი.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ბოჩუსჩუსებს „საირმე“

მაიაკოვსკი. (საკ. კორ). ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი მოწონებითა და მოთხოვნილებით სარგებლობს თავისი შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ცნობილი მინერალური წყალი „საირმე“.

მინერალური წყლის ქარხანაში უკვე დაიწყო სეზონი. აქ დაამონტაჟეს ახალი ჩამოსასხმელი ხაზი, რომელიც საათში 6.000 ბოთლ წყალს ასხამს. „საირმით“ დატვირთული პირველი ვაგონები უკვე გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა საიუბილეო წელს 5 მილიონ 100 ათასი ბოთლი „საირმე“ ჩამოასხას.



ვ. ი. ლენინის იუბილეს ეძღვნება

გიწვევთ გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსზე

ამ დღეებში საქართველოს სამხატვრო გალერიაში გაიხსნა თვითმოქმედ მხატვართა და სახალხო ხელმარჯვე ოსტატთა გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსი. გამოფენა ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სამხატვრო გალერიის დარბაზებში ათასზე მეტი ექსპონატია გამოფენილი. აქ შეგიძლიათ ნახოთ ორასამდე სახალხო ოსტატის — მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების ნამუშევრები. გამოფენას მრავალი მნახველი ჰყავს.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ლარნაკი ვ. ი. ლენინის გამოსახულებით, შესრულებული ი. სულიკაშვილის მიერ; ქვემოთ, მარცხნიდან — რ. ლეზგიშვილის კერამიკული ნამუშევარი; „კინტოები“ — ავტორი მ. ხუბაევი.

ფოტო ბ. კიკვაძისა და მ. დათიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ასკარეზოვენ წყალბურთელები

ლენინგრადსა და ძერჟინსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის „დინამოსა“ და „ლასპის“ წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების მატჩი. მოწინააღმდეგეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. ლენინგრადის, „ბალტიკისა“ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელთა ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარებულ მატჩის შედეგი 4:2 სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდის სასარგებლოდ.

ძერჟინსკში პირველი ტურის უკანასკნელი მატჩი ჰქონდათ მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 5:2. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის „ოლქის „ლოკომოტივის“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 8:3.

შვიდი პირველი ადგილი

დონის როსტოვში დამთავრდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ა. ბოდდუნის პრიზზე.

ტურნირი აღინიშნა საბჭოთა მოჭიდავეების წარმატებით. ათი წონითი კატეგორიიდან მათ შეიღეს პირველი ადგილი დაიკავეს. ეი ვინ მოიპოვა სამახსოვრო მედლები — ვ. ზუბკოვმა (სსრ კავშირი), მსოფლიოს ჩემპიონმა ფ. ალიზადემ (ირანი), ნ. დავიდიანმა (სსრ კავშირი), ა. ლიპენმა (პოლონეთი), ა. ივანოვმა, კ. ხალილოვმა, ა. ნაზარენკომ (საბჭოეთ სსრ კავშირიდან), ჩ. კეტინსკიმ (პოლონეთი), მსოფლიოს ჩემპიონებმა ნ. იაკოვლევომ და ნ. შმაკოვმა (ორივე სსრ კავშირიდან).

ძნელი გამარჯვება

ბელგრადი, 5 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ ვ. ბაბკინი, ი. ტიტოვი). სსრ კავშირის ნაკრებმა ისტორიაში პირველ შეჯიბრებაში — მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა გუნდთან მატჩში გაიმარჯვა! თუმცა მინიმალური ანგარიშით — 20,5:19,5. წარმატება ჩვენი გროსმაისტერებისა, რომლებიც გამოდიოდნენ იუგოსლავიის დედაქალაქში, უდავო და უეჭველია. ახლანდელი გამარჯვება იმის კიდევ ერთი დამადასტურებელია, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა მართლაც უძლიერესია.

ყველანი წინასწარმეტყველებდნენ სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებას ჭადრაკის „ვარსკვლავთა“ ნაკრებზე, და ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ადვილი როდი იყო. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ სულ უკანასკნელმა პარტიამ — სმისლოვსა და ოლაფსონს შორის გადაწყვიტა შედეგი. სმისლოვმა გაიმარჯვა, ხოლო მანამდე ანგარიში იყო თანაბარი — 19,5:19,5, დიახ, სმისლოვმა გაიმარჯვა, მაგრამ ყაიმით რომ დაემთავრებინა პარტია ან, ნაკეგო? მართალია გადადებულ პოზიციაში მსოფლიოს ექსჩემპიონს მატერიალური უპირატესობა ჰქონდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა გამარჯვება, თუმცა ბევრმა შეჯიბრებამ, და მათ შორის ახლანდელმა მატჩმა, ცხადყო, რომ ჭადრაკში ხდება სიურპრიზები.

მაგრამ აი ისლანდიელმა გროსმაისტერმა წარმოთქვა „ანებდებითო“, და პროფკავშირების სახლის დიდებულ დარბაზში, რომელიც „ხაუკუნის მატჩის“ ახპარეზს წარმოადგენდა, მაყურებელთა ტაშმა იგრიალა.

და არც თუ უსაფუძვლოდ: ერთი ქვეყნის გუნდმა მიიღო დანარჩენ სახელმწიფოთა ყველა ხაუკეთესო მოჭადრაკის გამოწვევა და აჯობა მათ.

მოგაგონებთ, რომ მატჩი მიმდინარეობდა 29 მარტიდან 5 აპრილამდე ოთხ წრედ (ერთ დღეს — ტური, მეორე დღეს — პარტიების დამთავრება, ერთი სიტყვით, შესვენების დღეები არ ყოფილა) ათ დაფაზე.

მაშ როგორია შედეგები თითოეულ დაფაზე? აი ეს შედეგებიც: სპასკი-ლარსენი — 1,5:1,5 (მეოთხე ტურში მსოფლიოს ჩემპიონის ნაცვლად, რომელიც ავად გახდა, გამოდიოდა შტეინი, რომელმაც დამარცხება განიცადა), პეტროსიანი-შეერი — 1:3, კორჩნოი-პორტიში 1,5:2,5, პოლუგაევსკი-ბორტი — 1,5:2,5, გელერ-გლიგორიჩი — 2,5:1,5, სმისლოვ-რეშევსკი — 1,5:1,5 (მეოთხე პარტია რეშევსკის ნაცვლად ითამაშა ოლაფსონმა, რომელიც დამარცხდა), ტიმანოვ-ულმანი — 2,5:1,5, ბოტვინიკ-მატულოვიჩი — 2,5:1,5, ტალი-ნაიდორფი — 2:2 და კერეს-ეკოვი — 3:1.

გუშინდლიდან იუგოსლავიელ ჭადრაკის მოყვარულებს ძალი არ მოჰკარგიათ. დილიდანვე სახტუმრო „მეტროპოლში“, სადაც დაბინავებული იყვნენ მონაწილენი, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტსა და პრეს-ცენტრში არ შემწყდარა ტელეფონების წკარუნი. საჭადრაკო ხელოვნების თაყვანისმცემლები განუწყვეტლივ ეკითხებოდნენ: ხომ არ არის ახალი რამ? ისინი ამაოდ როდი რეკავდნენ. შუადღემდე ტაიმანოვმა, ისე რომ არ დაუცადა პარტიის ოფიციალურ დამთავრებას, დამარცხებულად ცნო თავი წინა დღით გადადებულ პარტიაში. და ეს არ ყოფილა წინდაუხედავი გადაწყვეტილება: გადადებულ პოზიციაში ულმანის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა კიდევ ერთი პარტიის გლეგორიჩ-გელერის პარტიის შედეგი. ასევე თამაშის განუახლებლად მეტრეენი ყაიმს დათანხმდნენ, რადგან ანალიზმა ცხადყო, რომ ყველა გარიულება, რომელიც შეხვედრის გადადების მომენტში წარმოიშვა, ლიკვიდირებულია და პოზიცია მნიშვნელოვნად მარტივდება, რის შემდეგ მხოლოდ საყაიმო დაბოლავებაა.

მეორე დაფაზე გადადებულ ორთაბრძოლაში პეტროსიანის მხარეზე იყო პოზიციური უპირატესობა, მაგრამ, როცა დაიწყო გადადებული პარტიის გათამაშება, ეს შეხვედრა — პირველი დარნენილი ოთხ პარტიას შორის — მშვიდობით დამთავრდა. ფიშერმა ზუსტი დაცვით, რაც გულდასმით საშინაო ანალიზის შედეგი იყო, ყაიმს მიაღწია. პირველ დაფაზე კი ლარსენმა შეძლო გაეხალდებინა უპირატესობა: მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, შტეინი იძულებული გახდა დანებებულიყო.

ბოტვინიკმა უპირატესობით გადადო თავისი პარტია მატულოვიჩთან. დამთავრების მსვლელობაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თანამიმდევრული ბრძოლით წარმატების კარგი შანსი მიიღო, მაგრამ... საბჭოთა გროსმაისტერის მიერ დაშვებულმა ერთმა უზუსტობამ საშუალება მისცა მის იუგოსლავიელ კოლეგას ყაიმით დამთავრებინა პარტია.

და აი, ბოლოს, სმისლოვმა დაამარცხა ოლაფსონი.

სსრ კავშირის თასზე

პენალტიმ გადაწყვიტა

ცოტა სტუმარი როდი ჰყავდა კვირას „ლოკომოტივის“ სტადიონს. ამას თავის მიზეზიც ჰქონდა. ლოკომოტიველები ბერეგი მატჩს მართავდნენ საკუთარ მოედანზე და ისიც სსრ კავშირის თასზე რიგის „დაუგვანთან“. იყო სიახლეც. ფეხბურთის მოყვარულებმა ვლავ იხილეს მოედანზე, ამჯერად „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში მ. მესხი.

მართალია, ორივე გუნდი ძალთა მთელი მობილიზებით იბრძოდა, მაგრამ თამაში მაინც უფერული გამოდგა, ბევრს სცოდავდნენ ფეხბურთელები გადაგებებსა და დარტყმებში. თამაშის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა და მოსალოდნელი იყო დამატებითი ტაიმები, მაგრამ ამ დროს „დაუგვანს“ საჯარიმო მოედანზე რიგელებმა ხელით მოიგერიეს ბურთი. მსაჯმა პ. ბერეგიადემ პენალტი დანიშნა. მაზიაშვილის დარტყმა მიზანს მოხვდა. გამიმარჯვა „ლოკომოტივმა“ 1:0 და თამის გათამაშების მომდევნო ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ლოკომოტიველთა რიგებში იყვნენ — ბერიძე, ბოგიჯანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, ძაგანია, ჯორბენაძე, ჭოლაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი, მესხი.

თასის მფლობელის დამარცხება

კვირას ვილნიუსში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივ „უალგირისს“ პაექრობა ჰქონდა „კარპატთან“. 35-ე წუთზე ვილნიუსელთა მერე გაგანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. გაიმარჯვა „უალგირისმა“. ამრიგად, თასის მფლობელი პირველსავე მატჩში გამოეთიშა თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ბაკე)

8 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის

„დინამო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 6 ს. 15 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში იწარმოებს 7 აპრილს, აბონემენტებზე 7 აპრილს — დღის 12-დან საღ. 7 საათამდე, საერთო გაყიდვა 7 აპრილს დილის 10 საათიდან სტადიონის სალარო-ებში.

უეფა-ს ტურნირი

ბრძოლდება უეფა-ს ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის. შესარჩევ ჯგუფში, სადაც გამოდის საბჭოთა ნაკრები, კიდევ აგრეთვე პოლონეთისა და რუმინეთის გუნდები.

მორიგი მატჩი შედგა ვარშავაში. აქ თამაშობდნენ პოლონეთისა და რუმინეთის გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება 23 აპრილს რუმინეთში, მანამდე კი — 19 აპრილს სსრ კავშირის ნაკრები თავის უკანასკნელ მატჩს გამართავს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან.

დღეისათვის მეტოქეთა მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდებს სამი თამაშიდან სამ-სამი ქულა აქვთ, რუმინელებს 2 თამაშიდან — 2 ქულა.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

8 აპრილი

«პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.15 — „რევოლუცია და კულტურა“. კუბის რადიოს გადაცემა (მოსკოვი), 11.05 — შ. მშვილიძე. ნაწყვეტები ოპერა „დიოსტაგის მარჯვენიდან“, 11.45 — ოსური სიმღერები, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ჩანახატები „ყრილობის დელეგატები“, 12.45 — ჯალინიკოვი. სიმფონიური პოემა „ეკადარი და პალმა“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. მირიანაშვილის სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერა „ალეკოდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხზვნით, მეგობრებო!“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.15 — ნაწყვეტები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან, 19.45 — ბიზე. ნაწყვეტები ოპერა „კარმენიდან“, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. ტრანსლაცია ბაქოდან 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — დ. შოსტაკოვიჩი. საფორტეპიანო პრელუდები, ფუგები და ვოკალური ციკლი პუშკინის ტექსტებზე, 22.50 — ა. ბალანჩივაძე. ვალსი „თბილისის ზღვაზე“, 23.30 — უკრაინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

7 აპრილი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „გვისმენენ სამშობლოს“ — საკავშირო კომკავშირული კრების წინ — (გადმოცემა მოსკოვიდან, 12.00 — მხატვრული ფილმი „დედის ერთგულები“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემსწავლელთა დასახმარებლად ვ. ი. ლენინის ნაშრომი — „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, 18.20 — გადაცემა ციკლიდან „ხალხური სიუჟეტი“ — „მრავალჟამიერ“, 18.50 — ნახატი ფილმი — „ცრუმორწმუნის თავგადასავალი“, 19.00 — უფროსკლასელთათვის „მეგობრობის კონცერტი“, 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „მუნების კარი“, 21.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — მხატვრული ფილმი „ყოველ საღამოს თერთმეტზე“.

თეატრები

7 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ანრიკის ქორწილი; ოჭიანების ჭართული — ხუთკუნქული (11 ს. 134-ე სკოლა), თეორი ცუგა (1 ს. 42-ე და 61-ე სკოლები).

კინო

7 აპრილი

ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზ